გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: რედაქციას, კუკიაში, ავჭალის-ქუჩაზედ, კარამზინის [illegible] ქვემოთ [illegible] [illegible] ლში; წერა-კითხვის [illegible] [illegible] დოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1893



დაიბეჭდა და გარდაეცა ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიას

ილია ჭავჭავაძის

თხზულებანი

**მე-III ტომი.**

შიგ მოთავსებულია სხვათა შორის: „გლეხთა განთავისუფლების პირველ დროების სცენები“ და „ოთარაანთ ქვრივი“.

ფასი 1 მან.

აგენტებს გაეგზავნებათ 10 ივნისს.

—

ქართველთა ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ წარსულ 1892 წლის დივიდენდი ამხანაგობის წევრთ მიეცემათ ამა, 1893 წლის ოქტომბრის პირველიდამ.

ქუთაისის ამხანაგობის გამოცემა

დაიბეჭდა და გაიგზავნა გასასყიდად სხვა-და-სხვა ქალაქებსა და დაბებში

**№ 4**

**სვანური ზღაპრები**

შეკრებილი თავისუფალ სვანის მიერ

ფასი ექვსი შაური

(3—1)


## ახალი ამბავი

*** 6 ივნისს, დილით, ჩამობრძანდა ტფილისში კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტიევი.

*** ბ-ნი ტფილისის პოლიცმეისტერი ლ. პ—ძე მასტიცკი ამ თთვის 22 ტფილისიდგან რუსეთში და შემდეგ საზღვარ-გარედ მიდის ორის თთვით. პოლიცმეისტრის თანამდებობას მის მაგიერ აასრულებს მისი თანაშემწე ნ. ე—ძე სოკოლოვსკი.

*** ტფილისის პოლიცმეისტერის კანცელარიას მიუღია საქველ-მოქმედო საქმისათვის: ვაჭარ ა. ე. ელიაზაროვისაგან 50 მ. ციმბირში გაგზავნილთა ობლების სასარგებლოდ, და „პურ-ღვინოს“ პატრონთაგან ე. მამინაშვილისა და ე. თოიძისაგან—50 მან. ტფილისის ქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ.

*** როგორც შევიტყეთ, ბ-ნ ანტონ დუმბაძის გალობის ნოტებზე გადაღების საქმეს დიდი თანაგრძნობა გამოუწვევია გურიაში. იმედია, რომ გურია, რომელსაც კარგად სცოდნია გალობის მნიშვნელობა და დღემდე შეუცვლელად შეუნახავს ეს გალობა, ეხლა ნოტებზე გადაღებით მთელს საქართველოს გაუზიარებს თავის ძვირფას განძს და ამით სამუდამოდ და საშვილი-შვილოდ თავს ისახელებს. ვისურვებთ მხოლოდ, რომ მალე დაიწყოს ეს საქმე და გადაღებულ იქმნას ყველა საგალობელი ნოტებზე.

*** პროფესსორი მარი ტფილისიდგან გაემგზავრა, საარხეოლოგიო გამოკვლევისათვის, ბორჩალოს მაზრაში, სადაც დაათვალიერებს მონასტრებს: ხოჯანს, ხუჩაპს, ახტალას, ახპატს და სანაგინს. მერე მდინარე დებედ-ჩაის ღელეს შეჰყვება და იქიდგან გუმბრის მაზრაში გადავა. შემდეგ ძველ ქალაქ ანის ნანგრევებს გამოიკვლევს, რავდენსამე ხანს დარჩება არმავირში (ეჩმიაწინის მაზრა), ეჩმიაწინის ბიბლიოთეკას გადასინჯავს და მერე შეუდგება იმ აცგილის ძებნას, სადაც მე-V საუკუნეში ქალაქი დვინი იყო.

ბ-ნი მარი ტფილისს დაბრუნდება 20 აგვისტოს და შემდეგ პეტერბურგს წავა.

*** ტფილისში ღარიბთა თავ-შესაფარის დასაარსებლად, ქალაქის პოლიცმეისტერის კანცელარიას მიუღია შეწირულობა: ლოტრანგ დედათა საზოგადოებისაგან—100 მან., იტალიის ბაღში მოქიდავეთაგან—151 მან., კონცერტისაგან, რომელიც იყო გამართული 14 ნოემბერს—62 მან. 70 კაპ., გარდაცვალებულ სურგუნოვის სახელობაზედ—100 მან., ნოტარიუს მამიკოვისაგან—2 მ. 11 კ., ბ-ნ ტ—ვისაგან—42 კ. წინად მოგროვილ ფულიანად შესდგა სულ 4404 მან. პოლიცმეისტერს განზრახვა აქვს, როცა შემოწირულობა 6000 მანეთამდე ავა, მაშინადვე შეუდგეს კეთილის განზრახვის განხორციელებას.

*** აკადემიკოსი კოვალევსკი და ვენგრელი მეცნიერი ხორვატი 6 ივნისს ბათუმს გაემგზავრნენ და იქიდგან თავ-თავიანთ ადგილს დაბრუნდებიან.

*** ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგე დ. ს. ს. ი. ს—ძე ხატისოვი გუშინ-წინ ტფილისიდგან ალბულაღს გაემგზავრა სახელმწიფო ტყეების დასათვალიერებლად.

*** ტფილისის გიმნაზიებში სწავლა უკვე გათავდა და შაბათს, ამ თთვის 5, მოწაფენი შემოდგომამდე დათხოვნილ იქმნენ. ეგზამენები-კი იმ მოწაფეთა, რომელნიც სწავლას ამთავრებენ, ამ თთვის 8-ს გათავდება.

*** კავკასიის სააბრეშუმო სადგურში, რომელიც მუშთეიდის ბაღშია ქ. ტფილისში, წელს აბრეშუმის ჰიას არავითარი სენი არ გასჩენია და კარგად უხეირნია. ბევრ ნაირი ჰია აღუზრდიათ და მათ შორის შესანიშნავია თურმე ძველი აქაური ჰია და აგრეთვე იაპონიისა, რომლის თესლი მომპელიედგან დაუბარებიათ.

*** ჩვენ მივიღეთ ანგარიში წარსულის 1892 წლ. შესავალ-გასავლისა გორის დედათა პროგიმნაზიისა. ანგარიშიდგანა სჩანს, რომ 1891 წლ. შემოსავლისა დარჩენილა 1892 წლისათვის 89 მან. 86 კაპ. შეუწირნია მისს იმპერატორებით უმაღლესობას გერცოგინია ანასტასია მიხეილის ასულს—100 მან.; მთავრობისაგან მიუღია შემწეობა—1,000 მან., გორში შეკრებილი—1,132 მან., ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკს შეუწირავს 584 მ. 60 კაპ., სწავლის ფული შემოსულა 2771 მან. 80 კაპ., კნეინა ა. ა. ამილახვრისაგან—50 მ., გორის „სობრანიისაგან“—256 მან. 80 კ., საქველ-მოქმედო საზოგადოების წევრთაგან—200 მან., დუქნების შემოსავალი—31 მან. 50 კ. და სხვა შემთხვევითი შემოსავალი—601 მ. 27 კაპ. სულ 1892 წ. შემოსავალი ყოფილა 6817 მან. 83 კაპ.

გასავალი:

ჯამაგირი მოხელეთ—4771 მ. 53 კაპ. შეგირდებს წიგნებისათვის—191 მან. 48 კაპ. სხვა და სხვა—189 მან. 1 კაპ. ხელსა-ქმის მასალისათვის და სხვა საკანცელარიო ხარჯი—52 მან. 33 კაპ. შენობის დაზღვევისა და შეკეთებისათვის—95 მან. 20 კაპ. ხოლერის გამო ჩაისა და სხვა სადეზინფექციო მოწყობილობისათვის—79 მან. 63 კაპ. კანფეტი ქალებისათვის—10 მან. 75 კაპ. მოსამსახურეებს—400 მანათი. სულ გასავალი 1892 წლისა იყო—6,040 მ. 58 კაპ. დარჩა მდგომიარე წლის პირველ იანვრისათვის 777 მანათი და 25 კაპეიკი.

*** პოლიციას ყურადღება მიუქცევია ბირჟის ფაიტონებისათვის და სასტიკად აუკრძალავს მეეტლებისათვის უვარგის ფაიტონებისა და ბებერის ცხენებით ბირჟაზე გამოსვლა.

*** ტფილისის გუბერნიაში, როგორც მაზრის უფროსები იუწყებიან, ამ ბოლოს დროს სხვა-და-სხვა გადამდები სენი გავრცელებულა. თელავის მაზრაში, და ახალ-გავაზში ყვავილით ავად გამხდარა 8, გარდაცვლილა 1, მორჩენილა 4 და კიდევ ავად არის 3. გორის მაზრაში, ს. მსხლებში ჯილეხით ავად გამხდარა და გარდაცვლილა 1; სხვა აღარავინ გამხდარა ავად, ს. ვანათში სახადით ავად გახდა 15, გარდ. 4, მორჩა 8, სხვებიც რჩებიან. ს. ქარელში წითელათი ავად გახდა 56 ბავშვი, გარდ. 3, მორჩა 48. წითელა გაჩენილა დ. სურამის საბოქაულოშიც და ს. კასპშიც. დუშეთის მაზრაში, ს. გრემისხევში ყვავილით ავად გახდა 3, ორი მორჩა. ს. წინამძღვრიანთ კარში გაჩნდა ჩუტ-ყვავილა. სიღნაღის მაზრის ს. გუმლაკში ყვავილით ავად გახდა 4, მორჩა 3, დარჩა 1. ს. მაღაროში ყივანა-ხველა გაჩენილა. ეხლა მაზრის ექიმი იუწყება, რომ გადამდებ სენით აღარავინ გამხდარა ავადაო. ტფილისის გუბერნიაში გაჩნდა სახადი: ს. უზუნლიარში (ლორისის საბოქაულო) ავად გახდა 8, მორჩა 3; სოფელ შახნაზარაში ავად გახდა 8, გარდ. 2, მორჩა 5. ს. საგარეჯოში გაჩნდა ყივანა-ხველა და ავად გახდა 35 ბავშვი, 10 გარდაიცვალა. იმავე სოფელში სახადით ავად გახდა 7 და სუყველანი რჩებიან. ს. წინწკაშიც სახადით ავად გამხდარა 4 კაცი.

ქუთაისის გუბერნიაში მაისის 8—16 ოთხს სოფელში ქუთაისის მაზრისა ყვავილით ავად იყო 38, კიდევ ავად გახდა 16, მორჩა 31, გარდა-

## ფელეტონი

### საეკლესიო აჯანყება იმერეთსა და გურიაში[1])

თითქმის ერმოლოვის საქართველოს მთავარ-მართებლად დანიშვნისათანავე (1815 წ.), საქართველოს ექსარხოსად აღყვანილ იქმნა ცნობილი ყოვლად სამღვდელო თეოფილაქტე[2]), ერთი იმ იშვიათ გამოჩენილ კაცთაგანი, რომელიც თავის მედიდურ, მოუხრელ ხასიათით, წარმატებულის გონების მიმართულებით თითქოს წინადვე აღნიშნულიყოს ცვლილებათა (რეფორმების) შემოსაღებად; გაგიეებით ეძლევა ამისთანა საქმეს და შეიქმნება ანუ მსხვერპლად თვისის იდეასი, ანუ მიეღწევა მის გამარჯვებასა.

საეკლესიო მმართველობა საქართველოში თეოფილაქტეს მეტად არეულ-დარეული[3]) დახვდა. დაწესებული იყო საეგზარხოსო, დაარსებული იყო სასინოდო კანტორა, მაგრამ იგინი მხოლოდ ქაღალდზედ არსებობდნენ და ნამდვილად-კი ისევ ძველი ქართული უწესოებანი პარპაშობდნენ და სრულიადი თავ-გასულობა სამღვდელოებისა, შეერთებული საეკლესიო შესავალ-გასავლის უანგარიშობასთან. თეოფილაქტემ თავის სრულის მონდომებით იწყო შემუსრვა და გადასხვაფერება მაგ უწესო, მაგრამ საუკუნოებით შესისხლხორცებულის საეკლესიო მმართველობისა საქართველოში. თეოფილაქტეს წარდგენისამებრ უწმინდესმა სინოდმა პეტერბურგში მოახდინა განკარგულება საქართველოს საეგზარხოსოს ეკკლესიების (შტატები) შემოკლებისათვის, ჴ ნაცვლად ცხრა ეპარქიისა იმერეთში, სამეგრელოსა ჴ გურიაში—მხოლოდ სამი-ღა დაშთა, ე. ი. თითო ეპარქია თვითოეულ სამთავროში. და რომ ეს განკარგულება სისრულეში მოსრულიყო, საჭირო იყო უწინარეს ცნობაში მოეყვანათ რაოდენობა საეკლესიო შემოსავლისა და მოეხდინათ აღწერა საეკლესიო ქონებათა.

ეს განკარგულება ადგილობრივ სამღვდელოებამ წყრომით მიიღო. რასაკვირველია, კმაყოფილნი ვერ იქმნებოდნენ მღვდელნი, რომელნიც ეკკლესიების შემცირებისა გამო უადგილოდ (за штатомъ) რჩებოდნენ; მაგრამ ეგ უკმაყოფილება უფრო დიადდებოდა და ჰქეზდებოდა სამღვდელოებაში თვით მიტროპოლიტთაგან, რომელნიც ჰმეცადინეობდნენ თავის დამოუკიდებლობის დაცვასა პეტერბურგის სინოდისაგან. რადგან საქართველოს სამღვდელოებაში ერივნენ კაცნი გამოჩენილ თავად-აზნაურთა საგვარეულოთაგანჴმით დიდი გავლენა და მნიშვნელობა ჰქონდათ ხალხში,— ძნელი არ იყო წინასწარ დანხვა, რომ საეკლესიო საქმე მალე გადავიდოდა სამოქალაქო ასპარეზზედ, რომ სარწმუნოების დაცვის სახელით თავად-აზნაურნი აღდგებოდნენ დასაცველად ექზარხოსისაგან უარყოფილ უწესოებათა, უანგარიშობისა და თვით-ნებობისა; არ დასცხრებოდნენ თვით და ააჯანყებდნენ ხალხსაც. ნამდვილად ასეც მოხდა.

ქართლში ცვლილებათა შემოღებამ მშვიდობიანად ჩაიარა. მაგრამ იმერეთში, სადაც ის-კი იყო მოისპო აჯანყება სისხლის ღვრითურთ, სადაც რუსთა მთავრობა ჯერ განმტკიცებული არ იყო,—ერთბაშად შეიქმნა არეულობა. ხალხმა არამც თუ საეკლესიო ქონება არ აღაწერინა, არამედ კინაღამ ამოწყვიტეს მაგ საქმისათვის გაგზავნილნი დანდობილნი კაცნი. ზვავმა ჴ თვით-რჯულმა თეოფილაქტემ გადასწყვიტა თვით გადასულიყო იმერეთში, მგონებელმა ჩემი იქ ყოფნა წინააღმდეგობას უჩინარჰყოფსო. ხოლო გურია-სამეგრელოში წარგზავნა სინოდის კანტორის პროკურორი (ჰილაევი). ერმოლოვი ჰხედავდა ექსარხოსისაგან აკვიატებულ საეკლესიო ცვლილებათა უდრო-უდრობასა ჴ ურჩევდა თეოფილაქტეს ცოტა ხნობით მოეცადნა, თორემ ხალხის სიბრიყვისა გამო მაგ საქმის გადამკიდე შეიძლება საშინელი უწესოება მოხდესო. მაგრამ თეოფილექტე

[1]) იხ. Кавказ. война, პოტტოსი, 737 გვ.

[2]) თეოფილაქტე (რუსანოვი) იყო ლომონოსოვის სამშობლო — არხანგელსკიდან. 1799 წლამდე იყო არქიმანდრიტად ვალდაიის ივერიის მონასტრისა; ამა 1799 წელსკი 30 ოქტომბერს ხელდასხმულ იქმნა ეპისკოპოსად კალუგისა; მთავარ-ეპისკოპოსობა ებოძა 25 ოქტომბერს 1803 წ. გადაყვანილ იქმნა მთავარ-ეპისკოპოსად რიაზანისა 5 მარტს 1809 წ. დანიშნულ იქმნა ექსარხოსად საქართველოჲსა 14 მაისს 1817 წ. ებოძა მიტროპოლიტის ხარისხი 1 თებერვალს 1819 წ. მოკვდა 19 ივნისს 1821 წ. წმ. ნინოს მონასტერში (სიღნაღთან) და იქვე დაასაფლავეს. თეოფილაქტეს მახლობელი თანამშრომელნი იყვნენ: 1) დეკანოზი ალექსანდრე ფედოროვი, ბერობაში არხიმანდრიტი ანტონი, პირველი რექტორი ტფილისის სემენარიისა და წინამძღვარი დავით გარესჯის უდაბნოსი; 2) ტიტულიარნი სოვეტნიკი ნიკოლოოზ დავითის ძე ჩუბინაშვილი.

[3]) ამას ჩვენ არ ვეთანხმებით და ოდესმე ცალკე მოვილაპარაკებთ ვრცლად.

…ლა 1, ავად არის 22. ჩუტ-ყვავილით ქუთაისში ავად გახდა 6, მორჩა ხუთი, გარდ. 1. სენაკის მაზრის 8 სოფელში იმავე სენით ავად იყო 19, მორჩა 9, დარჩა 10. ქ. ბათუმში სახადით ავად იყო 21, მორჩა 11, არის კიდევ 10. ოზურგეთის მაზრის ორ სოფელში წითელათი ავად გახდა 15, მორჩა 11, დარჩა 4.

** გასპოი: 31 მაისს კომიტეტმა დაათვალიერა შენობა, ესრედ წოდებულის, აწყურის სამაგალითო სამრევლო სკოლისა და აღმოჩნდა, რომ სამაგალითო არის ეს შენობა თავის საკმაო სიდიდით და ადგილის მდებარეობით. რაც შეეხება იმას, თუ როგორ იქნება აქ სკოლა, ამას მომავალი გვიჩვენებს. საბუთი არა გვაქვს, იმედი არ ვიქონიოთ, რომ ეს სკოლა სწორედ ღირსი იქმნება ატაროს სახელი სამაგალითო სკოლისა. შენობისა ჯერ ქვემო სართული აყვანილი, მაგრამ ერსეც საკმარისია ჰნახოს კაცმა, რომ მიხვდეს, რა დიდი და კარგი შენობა გამოვა. დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს სკოლა ბევრს აუხელს თვალს, ბევრს გაუნათლებს გონებას და ნამდვილ, კაცთ-მოყვარე ადამიანად გადააქცევს. ამ სკოლის ნახვაზე ოცნებამ გაგვიტაცა და ბევრი ტკბილი ფიქრი აღგვიძრა.

** იქიდამვე: სკოლის მომავალზედ ტკბილი და საიმედო ფიქრი მოგვიწამლა ისეთმა გარემოებამ, რომელიც ღირსია ვუამბოთ მკითხველ. შენობის დათვალიერების შემდეგ დაბრუნებულთ, სოფელს რუის-პირში, წინ გადაგვეღობა ადგილობრივი მასახლისი და ჩვენს თანამგზავრს ბლაღოჩინს მამა მ. ხელაშვილს მოახსენა, რომ რუისპირის მაყაშვილების კარის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია გაუტეხიათ და კარი-კი სრულიად მთელი იყოვო. ეტყობა შერჩეულ გასაღებით გაუღიათ. გააღეს კარი და შესულთ თვალწინ წარმოგვიდგა შემდეგი სურათი ულმრთოობისა: აქ. თავდაყირა არის დაყრილი ხატები, რომლებიც გამბედავს ხელს ამოუგლეჯია კანკელიდამ, იქ ტრაპეზიდამ ძირს არის გადმოტყორცნილი ჯვარი, რომელიც არ მოსწონებია, რა-კი ვერცხლისა არ აღმოჩენილა, აუჩქარებლივ და უშიშრად გაუძარცვავს ხატები. შემოწმებამ აღმოაჩინა: 1) ღვთის-მშობლის ხატს, ხელთ-უქმნელს ხატს, ნათლის-მცემლის ხატს და კიდევ ღვთის-მშობლის ხატს აყრილი აქვთ ვეცხლის არშიები და ოქროს გვირგვინები, შემკული 48 მარგალიტით, 1 ზურმუხტით, 2 იისფერ იაგუნდით, 1 წითელის ლალითა, ფირუზითა და კიდევ 5 ძალიან მომსხო მარგალიტითა, 2) წაღებულია მეორე ჯვარი ტრაპეზისა და სამი ფარჩის დაფარნა.

ეს ეკლესია შტატ გარეთი ეკლესიაა. დიდმარხვის შემდეგ აღარავის გაუღია, ახლაც არავინ გააღებდა, თუ შემთხვევით ამავე სოფლიდამ გადასახლებული თ. ზ. ა—ლი არ მოსულიყო აქ სალოცავად.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ეკლესია შიგ გალავანშია და ამავე გალავანში სცხოვრობს სამი კომლი თავადიშვილი, თითქმის ორმოც ნაბიჯზე ამ ეკლესიიდგან, სწორედ გასაოცარია გამბედაობა მცარცველთა, მით უმეტესად, რომ კარგა დრო მოუნდომებიათ ბოროტ-მოქმედებისათვის.

## სასულიერო მთავრობის განკარგულებანი.

ტფილისის მაზრის სოფ. პატარა-ლილოს წმ. გიორგის ეკლესიაში მღვდლის თავისუფალს ადგილზედ დანიშნულ იქმნა ერევნის ტაძრის მთავარი გერასიმე ჰანტურიძე.

ახალს თანამდებობაზედ გადაყვანილ იქმნენ:

პატარა-ლილოს ეკლესიის მღვდელი ნიკოლოზ კანდელაკი, თავისისავე თხოვნის თანახმად, გადაყვანილ იქმნა ტფილისის მაზრის სოფ. ახალ-სოფლის წმ. ნინოს ეკლესიაში.

კავთისხევის ეკლესიის მთავარი გიორგი ახალკაციშვილი და საგურამოს წმ. თადეოზის ეკლესიის დიაკვანი ივანე ონუფრიშვილი, თავიანთისავე თხოვნის თანახმად, გადაყვანილ იქმნენ ერთი მეორის ადგილზედ.

დიაკვანი მატანის სამრევლოსი დიმიტრი ცისკარაული, მღვდელ-ბლაღოჩინის იოსებ კოშორიძის მოხსენების თანახმად, გადაყვანილ იქმნა ახიელის სამრევლოში.

გორის მაზრის ზღუდრის სამრევლოს დიაკვანი ექვთიმე გულიშვილი თავისისავე თხოვნის თანახმად, დათხოვნილ იქმნა თავის ადგილიდგან.

საეკლესიო მნათეებად დანიშნულ იქმნენ:

ტფილისის მაზრაში სოფ. მცხეთის მცხოვრებელი გლეხი იაკობ იოსების ძე ბერიშვილი—მცხეთის ტაძარში.

ტფილისის მცხოვრებელი დიმიტრი ბესარიონის ძე სამადაძე—ტფილისის ბერძენთა წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში.

თელავის მაზრაში: სოფ. ყვარლის მცხოვრებელი გლეხი ლაზარე კოკელაძე—მელე გავაზის წმ. იოანნე ნათლის-მცემლის ეკლესიაში.

საეპარქიო მთავრობის მადლობა გამოეცხადა ნაფარეულის ეკლესიის მრევლს ამა ეკლესიის განახლების საქმეში მონაწილეობის მიღებისათვის.

მისის ყოვლად უსამღვდელოესობის, ალავერდის ეპისკოპოსის ბესარიონის მიერ ამა 1893 წლის 4 აპრილს კურთხეულ იქმნა ყვარელში ახალი ეკლესია წინამორბედის იოანნე ნათლის-მცემლის სახელობაზედ.

## კახეთის რკინის გზა

1 ივნისს, დილის ექვს საათზედ, ინჟენერები: ა. ნ. პუშეჩნიკოვი, ტ. ი. აკორონკო, ო. ო. მაროზოვსკი, თ. გ. ზ. ანდრონიკაშვილი და თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი—ინჟენერი პ. ა. ალხაზოვი, ი. ს. ჯაბადარი და თ. ლ. ლ. ჩერქეზიშვილი, გაემგზავრნენ ტფილისიდგან კახეთისკენ იმ ადგილების დასათვალიერებლად, საითაც რკინის გზამ უნდა გაიაროს. გზაზედ მათ დაეწია ცხენით გუბერნიის მარშალი თ. მაღალაშვილი და რავდენიმე ვერსი გააცილა. მინდორი ლოჭინამდე თითქმის სწორეა და ამის გამო აქ რკინის გზის გაკეთება თურმე ადვილია. ლოჭინის ხევზედ ერთი ხიდი უნდა გაკეთდეს, რომელიც გარდასწყვიტეს გასდონ არჯევანიძის ბაღის თავში; ხიდი დაჯდება 180,000 მანეთი. ინჟენერების კომისიას გაუძნელდა მხოლოდ საცხენისზე ხიდის ადგილის ამორჩევა, ბევრი ათვალიერეს შესაფერი ადგილი და თუმცა ახალ-სოფლის ბოლოში ერთი ადგილი ამჯობინეს, დუქანთან, მაგრამ ვერ გარდასწყვიტეს, ღამდებოდა და სამგორის მინდვრისკენ წავიდნენ, რომელიც ისე განვლეს, რომ არა გამოუკვლევიათ-რა. ამ დროს შებინდდა, ასტყდა ქექაქუხილი, წვიმამ დაუშვა და სეტყვაც დაატანა. აღარა სჩანდა-რა, ცხენები მიდიოდნენ, საითაც უნდოდათ. ერთმანეთს ასცდნენ, გზა აერიათ და ზოგმა მათგანმა ღამის 3 საათამდე ცის ქვეშ დაჰყო. მერე, როგორც იყო, ზოგნი თ. ჩოლოყაშვილთან მივიდნენ, იორს გაღმა, ზოგნი ბახმეტიევის ქარხანაში და ზოგნიც ნემცების კოლონია მარიენფელდში (სართიჭალა).

2 ივნისს ისევ მოიყარეს თავი და შეუდგნენ გამოკვლევას. იორზე ხიდის ადგილი აარჩიეს მულანლოსა და მარიენფელდის შუა, თ. ჩოლოყაშვილის სახლის პირდაპირ. ხიდი დაჯდება 250,000 მანეთი. აქედგან შეიარეს პატარძეულზედ, ბერების წისქვილთან ხუთ საჟენიან ხიდის ადგილი დანიშნეს და მივიდნენ ს. საგარეჯოს ქვემო ბაღებამდე. საღამოს 7 საათზედ ადგილობრივი ბოქაული ნაცვლიშვილი გამოეგებათ, რომელმაც ყველანი საგარეჯოში მიიწვია.

3 ივნისს დილის 5 საათს ისევ გზას შეუდგნენ, გაიარეს ჩაილურზე და კაკაბეთზე კაჩეთამდე.

ამ რაგად მესამედზედ მეტი მანძილი უკვე გაიარეს და გამოიკვლიეს (70 ვერსტამდე), რაც უფრო საძნელო იყო.

ინჟენერების ვარაუდით მთლად რკინის გზის ლიანდაგი 3 მილიონზე მეტი არ დაჯდება თურმე.

როცა ყველანი ერთად გაივლიან მთლად იმ მანძილს, სადამდინაც რკინის გზა უნდა გავიდეს, მერე ინჟენერები სამ დასად გაიყოფიან და ცალ-ცალკე გამოიკვლევენ ყველა თავის ნაწილს, რითაც საქმე ძალიან მალე წაიწევს წინ. ტფილისიდგან ივრის ხიდამდე გამოიკვლევს ის დასი, რომელსაც უფროსადა ჰყავს ინჟენერი თ. ანდრონიკაშვილი; ივრის ხიდიდგან ბაკურციხემდე—მაროზოვსკი და ბაკურციხიდან თელავამდე—აკორონკო ([illegible]).

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ოზურგეთი.** პატარა ქალაქში, სასიამოვნო და სანუგეშო ამბავთან ერთად ბევრი სხვა მწარედ და უსასოოდ დამაფიქრებელი ამბებიც ბევრია. ჩვენი ყოველ-დღიური ვარამი და დუხჭირობა ხომ ჩვენივე ზნე-ხასიათისა და შეუსმენელობა—უმეცრების ნაყოფია, რის აღმოფხვრასაც, ვინ იცის რამდენი დრო დასჭირდება. ჯერ-ჯერობით, მგონია, ურიგო არ იქნება საქმისათვის, ყოველივე ისევ ოზურგეთელთა შორის დარჩეს; ესეც რომ არ იყოს, სწორედ არაფერი სახარბიელოა გამოქვეყნება და გარედ გამოფენა იმ საზიზღარ ზნე-დაცემულობისა, რომლის მოწამეც“ გარეშე მაყურებელი და გულ-შემატკივარი ქვეყნის ყოფა მდგომარეობისა. რადგან ასეა, სჯობს ისევ ჩვენს სასიცოცხლო ნიშნებზე მოგწეროთ რამე.

მაისის დამდეგს რიცხვებში, 6—9-ს, აქ მოვიდა სოფლიდამ ჩვენი ახალ-გაზდა ექიმ-მწერალი დ. კ. ერისთავი და წაიკითხა ორი ლექცია ხოლერაზე. პირველი თავისი ლექცია პატივცემულმა ექიმმა წაიკითხა აქაურ საზოგადოებისათვის დედათა სკოლის სახლში, ხოლო-მეორე-კი—საჯაროდ, საქალაქო ბაღში. ორივეჯერ ლექციას ოზურგეთის კვალობაზე ხალხი საკმაოდ დაესწრო, თუმცა ლექციების მოსმენა (სხვისა, და არა ექიმის სურვილით) ფას-დადებული იყო. ვამბობ ამას იმიტომ, რომ ჩვენში ასეთის ლექციების კითხვა პირველი მაგალითია და ხალხიც, თქმა არ უნდა, დაჩვეული არაა ამისთანების ყურის გდებას. თვით მუსიკამაც, რომელსაც სასიამოვნოდ უკრავდნენ აქაური მოსწავლე ყმაწვილები, ვერ შეძოიტყუა ვერც ბაღში და ვერც სახლში—ღარიბნი მხოლოდ შორიდამ ცნობისმოყვარეობდნენ. მეორე ლექცია, უფრო შემოკლებით იქმნა წაკითხული; ენა ლექციებისა, როგორც მოეთხოვება მწერალს, ხალხისათვის გა-

---

…ავე ქუთაისში იყო და მისმა მძაფრმა და მოუხრელმა განკარგულებამ არ დაახანა გაძლიერება აჯანყებისა, რომელიც ელვასავით მოედო მთელ იმერეთსა. უნდა აღვიაროთ, რომ განკარგულება ეკკლესიათა გაუქმებისა და საეკკლესიო ქონებათა აღწერისათვის—არ შეეხებოდა თავად-აზნაურთა საუფლისწულოებს და იმ ხანად ეხებოდა იმ მამულებს, რომელთაც პირდაპირ სასულიერო მთავრობა განაგებდა. მაგრამ თეოფილაქტემ მაგ განკარგულებას ყველგან მისცა ფეხ-მოსაკიდი ძალა და იწყო მისი სისრულეში მოყვანა ყველგან და მით ეხებოდა კერძო პირთა ინტერესსა და საკუთრებასაც-კი. ცხადია, რომ საქმე სისრულეში ვერ მოვიდოდა უკმაყოფილებისა და დავიდარაბის გამოუწვევლად.

იმერლებმა იჩივლეს. იგინი სწერდნენ, „რომ ჩვენ დიდხანს ვიყავით უსამართლოდ აგარიანთა-თათართა ხელში, ბევრი ტანჯვა გამოვიარეთ, მაგრამ თათრები საეკკლესიო საქმეებს მაინც არ შეჰხებიანო; რომ ჩვენ ქრისტეს ჯვარცმის დროიდანვე აღვიარებთ სარწმუნოებასა და არა გვგონია საზიზღარნი ვიყვნეთ დაბრმავებულ ურიებზედ, რომელნიც კეთილდღეობენ რუსეთის მმართველობის ქვეშე, და რომ ჩვენი მწუხარება უსაზღვროა წმინდა ეკკლესიების დახურვისა ღ კეთილ-მსახურთა მღვდელთა ძალად მოშორებისა გამო, რომელნიც სწირავდნენ უსისხლო მსხვერპლსა ცხოვნებისათვის ჩვენის სულისა; ძალად გვართმევენ ხატთა და ჯვართა, ჩვენის სიღარიბით შემკობილ-შეძერწილთა, გვართმევენ საეკკლესიო ქონებასა, შეძინებულსა საუკუნოებით და მამა პაპის სისხლითა და ამისათვის ბოძებულთა მეფეთა მიერ...› ამასობაში შეიწროებულ სარწმუნოებისათვის თავდადების სახელით, ბოროტ-განმზრახნი კაცნი ავრცელებდნენ ჭორებს, რომ რუსები აპირებენ ჩვენს გადარჯულებასაო, და იწვევდნენ ხალხს დაცვისათვის სარწმუნოებისა, სალმრთო ტაძართა, და შეურაცხყოფილის-დამდაბლებულის სამღვდელოებისა. მღელვარება იზრდებოდა და შეიარაღებული ჯარები უკვე გროვდებოდნენ სოფელ ხიმშაში (რაჭაში).

ველიამინოვმა [4]), გაიგო თუ არა ამისთანა უსიამოვნო შედეგი, სთხოვა თეოფილაქტეს დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო ტფილისში. მაგრამ თეოფილაქტე არ ჩქარობდა და იცადა იქამდინ, ვიდრე ხალხმა თვით არ მოითხოვა მისი განშორება. იმერეთის მმართველმა გენერალ-მაიორმა კურნატოვსკიმ, ოდესმე შესანიშნავმა ვაჟკაცმა, ხოლო იმ დროს დაუძლურებულმა ავადმყოფობით, დაჭრილობით და მოხუცებით,—თვით გასწია ყვირილის სადგომისაკენ (станція) და ენერგიულ მოქმედებისა და დაწყნარების ღონისძიების მოპოვნის ნაცვლად—მეამბოხეებთან გამართა მოლაპარაკება. „ჩვენ არ დავიშლებით,—უპასუხეს აჯანყებულებმა კურნატოვსკის:—ვიდრე თეოფილაქტე არ მოშორდება იმერეთის არე-მარეს; ვიდრე იგი აქ არის, არც ფოსტას გაუშვებთ საქართველოში, არც გზას გავხსნით ვაჭრებისათვის“...

თეოფილაქტეც უნდა დამორჩილებოდა ჟამთა ვითარებასა და ქუთაისიდან გამოსულიყო გულ-ჩათუთქული: მის წინააღმდეგ აღშფოთება ერისა ისრეთი ძლიერი იყო, რომ, როდესაც იგი ჯდებოდა ეტლში, შეგროვილ ხალხიდგან გამოვარდა ერთი კაცი, იშიშვლა სატევარი და კინაღამ არ მოჰკლა, თუ არ დაეჭირათ. ამ აწეწილ გარემოებათა შორის კურნატოვსკის ისე დაებნა დავთრები, რომ აჯანყებულებს გადასცა უკვე შედგენილი აღწერა საეკლესიო ქონებათა, რომელიც მას შესანახად ჩაჰბარდა საჩქაროდ წასულის ეგზარხოსისაგან.

„მე ყოვლის ღონისძიებით ვეცდები,—სწერდა ამავე დროს კურნატოვსკი გენერალ ველიამინოვს—აჯანყებულებთან საქმე არა მომიხდესრა; იგინი ელიან მხოლოდ ჩვენის მხრივ ხელის გამოღებასა—იარაღით; პირველი თოფის ხმა შეიქმნება ნიშნად და ალი აჯანყებისა მოედება აქაურობას სრულებით“.

ამ სისუსტემ გამოიწვია შემდეგ უფრო მეტი უწესოებანი. აჯანყების სურვილი საერთო იყო; გურიაში და სამეგრელოში ემზადებოდნენ იმერლებთან ერთად ემოქმედნათ, იდუმალ მოლაპარაკება ჰქონდათ აბხაზეთთან და ოსმალეთთანაც-კი. ზოგიერთა გავლენიანნი თავადნი ჯერ კიდევ რუსეთის ერთგულებას იჩენდნენ, მაგრამ ეგ ერთგულება მათ გამუდმებულ, ნახევრად აზიურორპირობასთან, საეჭვოზე მეტი იყო, ხოლო გავლენა-კი სახალხო აჯანყებაზედ—არავითარი არა ჰქონდათ. ერმოლოვი თავის მხრივ ყველა ღონესა ჰლონობდა, რომ საქმე იარაღის ხმარებამდე არ მისულიყო, და გენერალის სისოევის სარდლობით ჯარები მხოლოდ იმერეთის საზღვრებს მიუხლოვდა. აჯანყებულებს-კი დაურიგეს დაბეჭდილი მოწოდება და ურჩევდნენ დაწყნარებასა: დადგა მოუსვენარი დრო. პირდაპირ იარაღით აჯანყება არსად იყო, მაგრამ რუსეთის მხედრობა-კი თოფით ხელში გამოჭიმუ-

[4]) სამოქალაქო მმართველი საქართველოში, უმახლობელესი ამხანაგი ერმოლოვისა 1827 წლამდე, ამავე დროს იგი იყო სარდალი მე 20 დაქვეითებულ დივიზიისა —1827 წლამდევე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგები და მოსაწონი იყო. შემოსავლი ლექციებსა, როგორც გვითხრეს, გადაიდო წამლების სასყიდლად ხოლერით ავად-გამხდართათვის ნატანების გზაზე, მომავალში, თუ ვინიცობაა იგი „უსტუმრებელი სტუმარი“ ეწვია გურიას. ბ-ნს ლექტორს თავის ლექციის დაბეჭდვაც განუზრახავს აქაურს სტამბაში; ფასი წიგნაკს, რომელიც საქველ-მოქმედო აზრით გაიყიდება, მცირე დაედება. ეს სასიკეთო ამბავი, ეჭვი არაა, ბევრს გაუღვიძებს ნატვრა-სურვილს იმისას, რომ დ. კ. ერისთავს ბლომად აღმოსჩენოდნენ წამბაძველნი ქართველ ექიმთა-შორის, რომელნიც ასე გულცივად შეჰყურებენ თავის ღვიძლ-ძმათა უმეცრებას.

თუ ხოლერის თვალ უჩინარ „ჭიების“ შიშით სიმშვიდე-მყუდროობა გვეკარგება ხოლმე, სტუმრობის გამო ზარალსაც უნდა მოელოდეს ეს მხარე,—მაგიერად უეჭველის სარგებლის-მობრუნებას გამოელის აქაური ღარიბ-ღატაკი აბრეშუმის ხილულ ჭიებისაგან. სამწუხაროდ, როგორც ამბობენ, წელს გურიაში შარშანდელზე ნაკლები გაყიდულა აბრეშუმის ჭიის თესლი. შარშან გაყიდულის თესლის რაოდენობა არ ვიცით, და წელს-კი მარტო ოზურგეთში ერთმა ვაჭარმა გაჰყიდა 1,820 მისხალი თესლი; აქაურს სამოქალაქო სასწავლებელს ტფილისის აბრეშუმის ჭიის მოსაშენებელ სადგურიდამ მოუვიდა სოფლის სკოლებისათვის დასარიგებლად 23 მისხალი. ოზურგეთში გაიყიდა ხსენებულ ვაჭრისაგან სტეფანიდის და პასხალიდის ფირმების აბრეშუმის ჭიის თესლი. ამას გარდა, ნამდვილ წყაროდამ შევიტყვეთ, რომ ლანჩხუთში 4,550-დე და ჩიბათის სასოფლო საზოგადოებაში კი 2,450 მისხლამდე აბრეშუმის თესლი გაუყიდნიათ სტეფანიდის ფირმისა. რასაკვირველია, ხალხი ბევრს სხვა-გვარად შეძენილ აბრეშუმის თესლიდამაც გამოიყვანდა ჭიებს. წელს შესაფერი ტაროსი არ დასდგომიათ აბრეშუმის ჭიებს. საზოგადოდ რადგან გვიან დათბა აქაც, რასაკვირველია, თესლიც გვიან გააცოცხლეს თუ გაცოცხლდნენ თავისით, ასე 21—29 აპრილს; წარსულს წლებში უფრო ადრე გამოუყვანიათ აბრეშუმის ჭიები. აი რამდენიმე ცნობა, გარდა სითბო-სიცივისა, 19 აპრილიდამ მოყოლებული 26 მაისამდე: 21 დღე წვიმიანი იყო, 9 დღე უწვიმო ღრუბლიანი და 8 დღე ცა-მოწმენდილი; 1-დამ—26 მაისამდე 19 ქარიანი დღე ეყო. 38 დღის განმავლობაში, ე. ი. 19 აპრილიდამ 26 მაისამდე, სულ დიდი წვიმა (maximum) ერთ-დღე-ღამეში—12,2 მილიმეტრი. აბრეშუმის კარგის თუ ცუდის მოსავლის შესახებ გადაწყვეტით თქმა ჯერ-ჯერობით არ შეიძლება; მართალია, პირველში საბრეშუმო ტაროსი არ იდგა აქ, მაგრამ ამ (მაისის) ბოლოს თანდათან გამოკეთდა იგი და, თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება, კარგი მოსავალი მოვიდეს აბრეშუმისა.

გულს უნდა

## პასუხად ქ-ნ ანასტასია წერეთლისას.

(წერილი რედაქციის მიმართ)

ვგონებ, წაიკითხავდით გაზ. „ივერიის„ მე-113 №-ში ახალ ამბად დაბეჭდილს ერთის დარბაისელის მანდილოსნის შესახებ და მე-115 №-ში დაბეჭდილს ამ მანდილოსნის ქ-ნ ა. წერეთლის სამაგიერო პასუხს.

ქ-ნი ა. წერეთლისა მოვიდა ჩემს სტამბაში და „ივერიის“ დაბეჭდილი ადრესები მთხოვა მეც, როგორც რედაქტორს და გამომცემელს გაზეთისას, მქადაგებელს ზნეობისა და პატიოსნებისას, ვენდე. რამდენსამე დღის შემდეგ შევიტყე, რომ ქუთაისის ბანკის განცხადებას „კვალის“ რედქცია ბეჭდავსო. მხოლოდ მაშინ მივხვდი, რისთვისაც წაიღო ქ-ნ ა. წერეთლისამ ჩემგნით ადრესები. ძალიან მეწყინა, მაგრამ უფრო-კი გამიკვირდა ქ-ნ ა. წერეთლის ასეთი ქცევა. დიდ ხანს ჩაფიქრებული ვიდექი და კარგა ხნის ფიქრის შემდეგ გადავსწყვიტე გავჩუმებულიყავი და არავისთვის მეთქვა ეს ამბავი და აღარც მითქვამს, სანამ თავის თავად არ გამხილდა ყოველივე. „ივერიის“ რედაქციამ აუწყა საზოგადოებას მომხდარი ანბავი. ქ-მა ა. წერეთლისამაც პასუხი დასწერა და ამ პასუხმა-კი უფრო გამაოცა და გამაკვირვა. ჭკვიანმა კაცებმა დაამტკიცეს, რომ დანაშაულობის გასასწორებელი უებარი წამალი წრფელის გულით შენანებაა ნამოქმედარისა, ხოლო შენანების მაგიერ თავის გამართლება დანაშაულობის დანაშაულობაზე დამატებააო.

ამითი ვათავებ ჩემს სათქმელს და კარგი იქნება ამაზედ მეტის თქმაც აღარ დამჭირდეს ამ საგნის შესახებ.

გაზ. „ივერიის“ საექსპედიციო საქმეთა მწარმოებელი მ. შარაძე

## ქალი-ვექილი.

ქ. კოვნოს ერთ მომრიგებელ მოსამართლეს, რუსეთში, უნდა გაერჩია საქმე სისხლის სამართლით. ბრალდებულის მაგიერ სასამართლოში გამოცხადდა ქალი, რომელმაც წარადგინა ნოტარიუსით შემოწმებული რწმუნების ქაღალდი. მომრიგებელმა მოსამართლემ ქალს ვექილობის უარი უთხრა. ბრალდებულმა საჩივარი მისცა მომრიგებელ-მოსამართლეთა კრებულს, რომლის მაგივრად ჩვენში დაწესებულია ოლქის სასამართლოს საპელაციო განყოფილება.

მომრიგებელ მოსამართლეთა კრებულმა ამ საქმეს სხვა ნაირად შეხედა.

იუსტიციის მინისტრის 30 აპრილის 1875 წლის ცირკულიარის ძალით, ქალს არ მიეცემა მოწმობა, რომლითაც შეეძლოს ყოველთვის ვექილობა, ე. ი. ვექილობა ხელობად გაიხადოს. ხოლო არც ამ ცირკულიარით, არც სისხლის სამართლის 44 მუხლისა და არც სამოქალაქო სამართლის კანონის 45 და 246 მუხლების ძალით, სადაც ჩამოთვლილ არიან ყველა ისინი, რომელთაც არ შეუძლიანთ ვექილობა, არ არის დაჭეშმარიტებით ნათქვამი, რომ ქალს აკრძალული ჰქონდეს ვექილობა. ამისათვის ზემო აღნიშნულის მომრიგებელ მოსამართლის გარდაწყვეტილება, რომლითაც ქალს ვექილობის უარი ეთქვა, უსაფუძლოა და გაუქმებულ იქმნასო; ხოლო მომრიგებელ მოსამართლეს მიეწეროს, საქმის შინაარსით დაადგინოს თვისი განაჩენიო.

Судебная Газета სრულიად ეთანხმება კოვნოს მომრიგებელ-მოსამართლეთა კრებულის აზრს და, სხვათა შორის, ამბობს:

ჩვენს სასამართლოებს ვერ გამოურკვევიათ და გაბედვით ვერ გამოუთქვამთ, ქალს ვექილობის უფლება აქვს თუ არაო. ჟურნალ-გაზეთებშიაც ამის გამო ცოტა თქმულა და, იმის გამო, რომ აქნობამდე ქალის ვექილობის მაგალითი არ არის, სასამართლოებს სრულიად უსაფუძვლოდ ჰგონიათ, ვითომც ქალი ამ უფლებას მოკლებულიაო. ჩვენ ვხედავთ ქალს ტელეგრაფის სამსახურში, ფერშლად, მასწავლებლად, რედაქტორად და მრავალ ისეთ საქმეში, რომელსაც მუდმივი მეცადინეობა და შრომა უნდა სასამართლოებში და სხვა საჯარო დაწესებულებაში. ამას ყველამ შეაჩვია თვალი, აღარავის ეჩოთირება და ამის წინაამდეგ კრინტსაც ვერავინ დასძრავს. ვერ შეეჩვივნენ მხოლოდ ქალის ვექილობას; რაღაც უცნაურ მოსაზრებით, ვერ წარმოუდგენიათ, რომ ქალს შეეძლოს ვექილობაც. სასურველია, რომ ეს საკითხი გამორკვეულ იქმნას და ქალთა ვექილობის უფლების შესახებ საერთო აზრი წარმოითქვას.

# უცხოეთი

**გერმანია.** გერმანიის სოციალისტები აშკარად ჰქადაგობენ, რათა ელზას-ლორენი საფრანგეთს დაებრუნოს. ამ საგნის გამო სოციალისტების მოთავე ლიბკნეხტს ქ. მეცში გაზეთ „Messin“-ის თანამშრომელი გამოებაასა და ჰკითხა:

— რა აზრისა ხართ 15 ივნისის არჩევანების შესახებ? გჯერათ, რომ რეიხსტაგში კვლავ დაბრუნდებით?

— დიაღ, მგონია—მიუგო ლიბკნეხტმა, ამ უკანასკნელად დათხოვნილ რეიხსტაგში ჩვენ (სოციალისტები) მხოლოდ 36 ვიყავით, ახალ რეიხსტაგში-კი 50 ვიქნებით. უკანასკნელ არჩევანებზედ 1,500,000 ხმა გვქონდა სულ, 15 ივნისს-კი 2 მილიონსაც გადააჭარბებს. საზოგადოდ სოციალიზმი ძრიელ ვრცელდება გერმანიაში. აბა, [illegible] ჩვენის არჩევანების ანგარიში [illegible] წლის განმავლობაში [illegible], რომ პირველად მხოლოდ 25 საარჩევანო მაზრაში ვმოქმედებდით და ვიბრძოდით, ეხლა-კი ამასზედ მეტია ის მაზრები, საცა ჩვენ ამომრჩეველნი მხარს გვაძლევენ. დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მომავალი ჩვენია.

გაზეთის თანამშრომელმა სიტყვა გადაუკრა იმაზედ, რომ ლორენში ძლიერ მცირეა რიცხვი სოციალისტებისა, რომ იქ არ თანაუგრძნობენ სოციალისტებსა და ამისათვის ვერას გააწყობთო.

— შეიძლებაო—უპასუხა ლიბკნეხტმა,—მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ მე ვეკუთვნი იმ დასს, რომელსაც არაფერი გაუჭირდება, რადგანაც სწამს თავისი ძალ-ღონე და არც სიმხნევე-გამბედაობა აკლიაო.

მერე ლიბკნეხტი გადავიდა იმაზედ, თუ რა შევიწროებულ მდგომარეობაშია ელზას-ლორენი გერმანიისაგან, როგორც დამონებული მხარე. ლიბკნეხტმა სთქვა:

— თუ ელზას-ლორენი დაიპყრო და დაიმონავა მეომრობით გატაცებულმა გერმანიამ, ახლა სოციალისტებით ზურგ-გამაგრებული გერმანია გაანთავისუფლებსო.

**ინგლისი.** „Figaro“ იუწყება, ვითომ გლადსტონი უარს ამბობს ჰომრულზედ, რადგანაც ვეღარ შესძლო იმ ოპოზიციასთან ბრძოლა, რომელშიაც ინგლისის დედოფალიც ურევიაო. მაგრამაო, ამბობენ სხვა გაზეთები, ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია, რადგანაც ინგლისის ისტორია ნათლად გვიჩვენებს, რომ თუ ინგლისელი დაუწმუნდა რაზედმე და მისი ასრულება უსაჭიროეს საქმედ სცნო, მას ვერავითარი ძალა ვერ დააკავებს და შეიძლება თუმცა გაჭირვებით, მაგრამ თავის საწადელს-კი უსათუოდ აასრულებსო. ისეთი ინგლისელი ხომ, როგორიც გლადსტონია, გაიტანს და გაიტანს ლელოსაო.

— ჩეხური გაზეთი „Padkysocke listy“ მოგვითხრობს, თუ რა გულგრილად მიიღო ფრანც-იოსებმა მლა-

---

ლი უნდა მდგარიყო. ბოროტ განმზრახ კაცებმა ამითიც ისარგებლეს და ჭორები გაავრცელეს—სალდათები ღამ-ღამობით იკრიბებიან, რომ ერთ მოჯერხებულ დროს იმერლობა სულ გაჟლიტონო. საქმის ასე თავ მინებება არ შეიძლებოდა. ერმოლოვი სწერდა დაღესტნიდგან ექზარხოსს, რომ ერთხელ დაწყებული საეკკლესიო ცვლილებანი უნდა დამთავრებულ იქმნენ, რაც უნდა გაჭირვება მოგვადგეს,—თორემ ხალხი დათმობას სისუსტედ ჩასთვლის, თითქმის მთავრობის შეშინებად და ყველა ეს საბოლოოდ განუწყვეტელ დავიდარაბს აგვიტეხავსო. ამისათვის ერმოლოვი ჰგონებდა იმერეთის უმხცოვანესთა ორ მიტროპოლიტთა შეპყრობს და რუსეთში გაგზავნა აუცილებელი საჭიროებააო, რადგან იგი მიტროპოლიტნი აჯანყებას მეთაურობდნენ და თვით მას, ექზარხოსს, როგორც პირველ მღვდელთმთავარს, ჯეროვანს პატივს არა ჰსცემდნენ.

„შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა ამპარტავანის ბერისა—ამბობდა ერმოლოვი—იწონებდა ამა განაკარგულებასა“. მაგრამ მიტროპოლიტების დატუსაღება ეგრე ადვილი საქმე როდი იყო: იგი ითხოვდა დიდს სიფრთხილესა, რომ ხალხის საერთო აჯანყება არ შესდგომოდა. გენერალი კურნატოვსკი—„რომლის სუსტი მმართველობა, ერმოლოვის თქმით, თათრების შემოსევაზედ უარესი იყო“—ამ საქმისათვის არ გამოდგებოდა. „ეგ მამაცი აფიცერი, სწერდა იმაზედ ერმოლოვი იმპერატორს ალექსანდრეს—ღირსია პატივისცემისა; მაგრამ სიბერემ დაუჩლუნგა ნიჭიერებანი, დაასუსტა სარდლობისათვის“.

კურნატოვსკი გამოცვალეს და მის ადგილას, იმერეთის მმართველად დანიშნულ იქმნა სარდალი 44 ეგერის პოლკისა პოლკოვნიკი პუზირევსკი,—ოდესმე სამშობლოს ომში (1812 წ.) ადიუტანტი სახელოვანის თავადის ვიტგენშტეინისა.

ერმოლოვი სრულიად დანდობილი იყო პუზირევსკის კეთილ-გონიერებასა, გამოცდილებასა და გამბედაობაზედ, მაგრამ მაინც ახალ არეულობათა მომლოდნემ პეტერბურგში წასვლა გადასდო და დაღესტნიდან ტფილისისაკენ გამოეშურა.

პუზირევსკი მოვიდა ქუთაისში 1820 წლის დამდეგს. იმერეთი რომ დაათვალიერა, დარწმუნდა, რომ აჯანყებულთა სურვილი და წადილი უფრო გაფართოებული, უფრო საშიში იყო, ვიდრე შორიდან ეგონათ. მიტროპოლიტები ცხადად აკურთხევდნენ ხალხსა სამშობლოს განთავისუფლებისა ღვწად, ეკკლესიებში აკურთხევდნენ იარაღსა და მღვდელნი ურიგებდნენ სამრევლოთა. იმერლები მეფესაც კი ირჩევდნენ: ერთნი თხოულობდნენ მეფედ თ. ზურაბ წერეთელსა, მეორენი მის შვილს გრიგოლს, სხვანი ივანე აბაშიძეს, ბატონიშვილის დარეჯანის ძეს (დიდი სოლომონ მეფის შვილის შვილს), მაგრამ უმრავლესობა აჯანყებულთა უარ ჰყოფდა სამივეს და მეფედ ითხოვდნენ პირ და პირს შთამომავალს ძველ ბაგრატოვანებისას.

აჯნყებულთ მოთავეთა დატუსაღების დაცდას პუზირევსკი შეუძლებლად სთვლიდა; წინადვე მოსაზრებული იყო ერთს ბნელ ღამეს რამდენიმე პატარა რაზმით თავ დასხმოდნენ და ხელთ ეგდოთ აჯანყებულების მოთავენი. ეს მოსაზრება დიდი საიდუმლოება იყო; სალდათებს არ უნდა სცოდნოდათ საით და რად ჰგზავნიან და მათს სარდლებსაც უნდა სცოდნოდათ მხოლოდ თვისი მინდობილება.

პუზირევსკი ჰფიქრობდა ყველა დატუსაღებულნი მოეყვანათ ქუთაისს გარედ, განსვენებულის სიმონოვიჩის მიერ აშენებულ ციხეში; აქედან-კი ძლიერის ყარაულით გაეტუმრებინა ტფილისში და, თუ ვინიცობაა, საქმე გაჭირდებოდა, ყველა ტუსაღნი დაეხოცნათ და მათი გვამები მდინარე რიონში გადაეყარათ. „ტუსაღნი რომ რიგიანად იყვნენ, ვერ შეიძლონ გაქცევა და გზად არავინ იცნოს, მე ვუბრძანებ—სწერდა სხვათა შორის პუზირევსკი ველიამინოვს:—ტუსაღებს ჩამოაცვან ტილოს ტომრები, პირთან სასუნთქავი გამოუჭრან და ზევიდან ყელში და წელზე მოუჭირონ თოკები“. პუზირევსკის სრულს თავისუფლებას აძლევდა, როგორც უნდოდა ემოქმედნა, მაგრამ ველიამინოვი უარ-ჰყოფდა მაინც ტილოს ტომრების ჩამოცმას, როგორც მეტად მკაცრსა და არა საჭირო ღონისძიებას. „საზოგადოდ,—სწერდა ველიამინოვი პუზირევსკის:—მიტროპოლიტების სიკვდილისა ყველაზედ უფრო უნდა გვეშინოდეს; მათი მოკვლა არამც თუ მარტო იმერეთს ააჯანყებს, არამედ ცუდად იმოქმედებს ჩვენს სალდათებზედაც, რომელნიც იმავ თავითვე მიჩვეულნი არიან სასულიერო პირთა პატივისცემასა“. მაგრამ თუ საჭიროება მოითხოვს მაგ ღონისძიებასა, მაშინ პუზირევსკის საბრძანები ჰქონდა—არას გზით მიტროპოლიტთა გვამები არ დაეტოვებინა იმერეთში, აგრეთვე არ გადაეყარათ მდ. რიონში, რადგან წყალი მოიტივტივებდა, ხალხი იცნობდა და მისს ცრუ-მორწმუნებას ახალი საზრდო მიეცემოდა. მიტროპოლიტთა გვამების კაიშაურამდე საქართველოში სადმე დასაფლავებაცკი აკრძალული ჰქონდა პუზირევსკის.

პ. ცხვილოელი

(დასასრული იქნება)

[..]რჩეხების წევრნი ავსტრიის დელეგაციისა: „... ჩეხიის დელეგატებს [..]ეძლვა დარბაზში გრაფი ტააფე და [..]ინდიშგრეცი. შემოვიდა იმპერატორი, არც-კი შეხედა გეროლდსა და პაჩაკს და დეპუტატ სალვადორის დაუწყო ლაპარაკი. მერე მიუბრუნდა [..]ამეკს და ჰკითხა:

— თქვენც დელეგაციაში ხართ?...

— დიაღ, თქვენო უდიდებულესობავ!..

— ბოჰემიიდგან?

— დიაღ, ხელმწიფეო.

— მლადოჩეხი?

— დიაღ, თქვენო უდიდებულესობავ.

მერე იმპერატორი მიუახლოვდა დეპუტატ მახარიკს. შეჩერდა მის [..]ნ და ხმა არ ამოიღო. პროფესორმა მახარიკმა თავისით სთქვა, მე ესა [..] ეს გახლავართო. იმპერატორმა თავი დაუკრა და ხმა ამოუღებლივ [..]არა... იმპერატორი ისე მოექცა ჩეხიის დეპუტატებს, თითქო ამის [..]მა უნდაო: „ევ თქვენა, რომ ჩეხები ხართ და არა გერმანელებიო“.

[..]ერილი რედაქციის მიმართ

„ივერიაში“ გამოცხადებულია, ვი[..] მე შემომწირონ ალეგრისთვის [..] ჩამოთვლილი ნივთები. თუმცა ის [..]ები ჩემგნით იყვნენ შეგროვილნი, [..]ამ შემომწირველნი სხვანი იყვნენ. [..] რომლისამე მიზეზით ის სია ხელთ [..]ა გვქვთ, განმეორებით გიგზავნით [..] თხოვთ გამოაცხადოთ.

[..] თვით სია. შემოსწირეს: იულია [..]ასუდდგის ასულმა კალატოზიშვი[..]მ: 1., ნაკერი ქისა, 2., ატლასის [..]კი, 3., ლამფის დასადგმელი, 4., [..]ე, 5., პირსახოცის ჩამოსაკიდი. [..]ლენე გრიგოლის ასულმა ელიოზო[..]ამ: ერთი სტაქნის ჩასადგმელი, ფრა[..] ვერცხლისა.

[..]ოფიო როსტომის ასულმა ყაფი[..]: ერთი წყვილი ვერცხლის ზაპონკა[..].

[..]ლისაბედ გრიგოლის ასულმა მყედ[..]ამ: 1—ვერცხლის კალმის ტარი. [..]ნინო დურმიშხანის ასულმა მაქარა[..]ლისამ ერთი ოქროს მედალიონი.

ქეთევან ლუარსაბის ასული ჟურულისა
31-ს მაისს.

# დეპეშა

5 ივნისი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა ნება დართო დიდს მთავარს ვლადიმირ ალექსანდრეს ძეს მიიღოს რუსეთის ცეცხლის მქრობელ საზოგადოების საპატიო თავმჯდომარეობის წოდება.

მოსკოვის ოლქის საუფლისწულო მამულების გამგე ბ-ნ ბერი დანიშნულ იქმნა საუფლისწულო მამულთა უმთავრეს გამგეობის უფროსად.

გაზეთები იუწყებიან, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ შეიმუშავა წესი წველათი ვაჭრობისა. ვინც რძეში სხვა რამეს გაურევს, იმას ჯარიმა გარდახდება 25 მანეთიდგან 500-მდე, ანუ დაპატიმრებულ იქმნება 8 თვემდე.

6 ივნისი.

**ათინა.** სამხედრო იარაღის საწყობებში, ათინას ახლო, ცეცხლი გაჩნდა; ორი აფიცერი და 12 სალდათი მოკვდა, ზოგიც მძიმედ დაშავდა; ზარალი 4 მილ. მან.

**ბერლინი.** არჩევანების შედეგი თითქმის გამოაშკარავდა, თუმცა მრავალთ ხელ-მეორედ უნდა უყარონ კენჭი და ამის გამო დაჭეშმარიტებით არ ითქმის, როგორ შესდგება მომავალი რეიხსტაგი. ყველაზედ მეტად დამარცხდნენ თავისუფალ-მოაზრენი; თუ ხელ-მეორედ კენჭის ყრის დრომდე არ შეთანხმდნენ სხვა ბიურგერთა დასებთან, სოციალ-დემოკრატების გამარჯვება იმათ მეტად შეამცირებს. თავისუფალ-მოაზრეთ შემდეგ ბევრი ადგილი დაჰკარგეს კონსერვატორებმაც, მეტადრე საქსონიაში, ანტისემიტების წყალობით, რომლებსაც წინად კონსერვატორები ხელს უწყობდნენ; თუმცა-კი ჯერ საეჭვოა, მოემატება ანტისემიტებს ადგილი რეიხსტაგში თუ არა. შუადასი თითქმის ისევ მთლად არჩეულ იქმნა და მის წევრთა მეცადინეობამ, რომელნიც თანაუგრძნობენ შარლემერისა და გუნეს მიმართულებას, ამაოდ ჩაიარა. სამხედრო კანონ-პროექტის ბედი დამოკიდებულია, როგორც ეტყობა, შუა-დასის წევრთა რაოდენობაზედ.

პეტერბურგის ბირჟა, 4 ივნისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,56 | 7,59 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 151 | 151 3/4 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,02 | 1,04 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 247 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 224 1/4 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 194 1/2 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6%. . . . . . | — ,, | 101 | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 100 1/4 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | 101 | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 100 1/4 | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემების შავსა ზღვაზედ

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო ატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 52 წ. ალს.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დილით 4 საათზე ოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში ვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დილით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დილით.

სამშაბათობით: დილით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დილით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით-ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაზღლოდაც


# განცხადებანი

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევი 2 საათამდე. (150—62)

გამოვიდა და ისყიდება ტფილისში „ქართველთა ამხანაგობის“ და „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში
**ქრისტინე**
მოთხრობა
**ე. ნინოშვილისა**
გამოცემული
პ. გოგუაძისა და დ. ქლდიაშვილის მიერ
ფასი ერთი აბაზი

დაიბეჭდა და ისყიდება
ახალი წიგნები:
1) „ვინ“ პაწაწა მინერალოგია
44 გვ. 20 ნახატით—ფასი 3 შაური
2) „ზენ“ პაწაწა ბოტანიკა
56 გვ. 70 ნახატით—ფასი 1 აბაზი
3) „თან“ პაწაწა ზოოლოგია
64 გვ. 98 ნახატით—ფასი 1 აბაზი

ისყიდება აგრეთვე ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში პირველი ხუთი წიგნი აღნიაშვილის „ახალ ანბანისა“:
1) „ან“ წერა-კითხვა . . 2 შაური
2) „ბან“ წვრილი ხალხური ლექსები. . . 2 შაური
3) „გან“ წვრილი ხალხური ამბები. . . . 2 შაური
4) „დონ“ წვრილი ხალხური ამბებიკე . . 2 შაური
5) „ენ“ გასართობი . . 2 შაური

# პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

მ. ზ. ქანანოვი, $12^1/_2$—1 საათამდის, სნეულებანი: საბებიო და დედათ სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ა. მ. ფუგინოვი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: ბავშვებისა და შინაგანი.

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონით და ზელვით წამლობა) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

# საკუთრად შპალიერის მაღაზია
კონსტანტინე იაკობის ძის
**ა რ უ თ ი ნ ო ვ ი ს ა**
(ერევნის მოედანი, გუბერნიის სამმართველოს გვერდით, სახლი თავ. არღუთინსკი-დოლგორუკისა; განყოფილება შუა-ბაზარში, სახლი აივაზოვისა, ჯიგრაშნის ეკკლესიის პირდაპირ).

დიდ-ძალი **შპალიერი** მივიღეთ, ნაჭერი 12 კაპეიკიდგან და უფრო ძვირი. მაღაზიაში არის აგრეთვე მრავალ-გვარი

ამერიკანული კლეონკები

სტოლის გადასაფარებლად და სხვ.

ყოველთვისა გვაქვს შპალიერი რუსეთისა და უცხო ქვეყნების ფაბრიკისა; აგრეთვე სხვა მოწყობილობა ოთახის მოსართველად.

მორთულობის საქმეს კისრულობს ცნობილი ტფილისში დეკორატორი, **ივანე ერნესტის ძე ლანკო**, რომლის ნახვა შეიძლება მაღაზიაში დილის 11-იდგან 12 საათამდე და საღამოს 8 საათიდამ მაღაზიის დაკეტვამდე.
(12—1)

**ნუ უიდულობთ** ოლე-ვაზელინის საპონს **როიალ-კონგო**
რომელსაც გასაფრთხილებელი ნიშნები არა ჰქონდეს გამომგონებისაგან
ე. ბოდლო და კ° საგან

გაუფრთხილდით ყალბ საპონს!




გაუფრთხილდით ყალბ საპონს!

ა ხ ა ლ ი ა მ ბ ა ვ ი ა!
საპონი ოლეო-ვაზელინი, ტოპილობრისი.

ფაბრიკა: Москва, 3-я Мѣщнская, д. № 49. магазинъ: китайскій проѣздъ, д. Хлудовыхъ.

ისყიდება ყველა საუკეთესო პარფიუმერიის და სააფთიაქო მაღაზიებში.
(4—1)


Доз. ценз. Тифлисъ, 7-го Іюня 8913 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე